საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 9 23 00023779

14/08/2023

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, რამდენადაც წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირების აუცილებლობა გამოვლინდა აღნიშნული გეგმის საქართველოს პარლამენტში წარმოდგენის შემდეგ. კერძოდ, კანონპროექტების დაინიციირების თაობაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართა მიმდინარე წლის 28 თებერვალს.

როგორც მოგეხსენებათ, „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ (შემდგომში - ასოცირების შეთანხმება) თანახმად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება თავისი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას. ამავე შეთანხმების მე-7 თავის 323-ე მუხლის მიხედვით, საქართველომ უნდა მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმების XV-A დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან, მათ შორის, 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივასთან - ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ. შესაბამისად, წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა მიზნად ისახავს სწორედ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებას. საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული ცვლილებებით, საქართველოს ეროვნულ ბანკს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ენიჭებათ ახალი უფლებამოსილება, მათი კომპეტენციის გათვალისწინებით, დამატებითი ზედამხედველობა განახორციელონ ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული სუბიექტების მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

ოთარ ბეჟანიძე



საქართველოს მთავრობის
საპარლამენტო მდივნის მოადგილე